სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მარიამ ჩუბინიძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 17.09.2024ნ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მარიამ ჩუბინიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **მარიამ ჩუბინიძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **მარიამ ჩუბინიძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

კანდიდატი **მარიამ ჩუბინიძე** არის დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, შედეგზე ორიენტირებული, პროფესიონალი, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და გულისხმიერი პიროვნება. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, **მარიამ ჩუბინიძეს** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი, გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **მარიამ ჩუბინიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

მარიამ ჩუბინიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 7.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *სამოქალაქო სამართლში* მარიამ ჩუბინიძე მაღალ დონეზე ფლობს მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას. შესწევს უნარი თეორიული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს თეორიული ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. მის მიერ შედგენილი პროცესუალური დოკუმენტები გამოირჩეოდა აზრის ლაკონურად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბებით, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით, მკაფიო სამართლებრივი დასაბუთებით. *ადმინისტრაციულ სამართალში* მარიამ ჩუბინიძე კარგად იცნობს მოქმედ კანონმდებლობას, ფლობს თეორიულ ცოდნას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული გულმოდგინება მუშაობის პროცესში და უდიდესი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ. *სისხლის სამართალში* სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის

მნიშვნელოვანი დებულებების ცოდნა. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება.

მარიამ ჩუბინიძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ჩუბინიძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის თითქმის 13 წლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, **მარიამ ჩუბინიძეს** შეუძლია მართებულად და სხვის დაუხმარებლად განმარტოს სამართლის ნორმა, შეუსაბამოს იგი დადგენილ ფაქტებს, შინაგან რწმენას და მიიღოს გადაწყვეტილება. სამართლებრივ პოზიციას ასაბუთებს მკაფიოდ, ნათლად, ზუსტად და კვალიფიციურად.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სმართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ჩუბინიძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

მარიამ ჩუბინიძეს შეუძლია ნათლად, გასაგებად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად გადმოსცეს თავისი აზრი, მნიშვნელოვანია და უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს ეტყობოდა ოდნავი მღელვარება და დაძაბულობა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მას შეუძლია წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს, შეუძლია გრამატიკულად და სტილისტურად გამართულ ენაზე და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი, მის მიერ მომზადებული

გადაწყვეტილებები და სამართლებრივი დასკვნები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებას საჭიროებდა.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ჩუბინიძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური, დისციპლინირებული, კომპეტენტური, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, შრომისმოყვარე, შეუძლია საქმიანობის უნარიანად დაგეგმვა და მოვალეობების დროულად, ზუსტად და ჯეროვნად შესრულება.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ჩუბინიძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

მარიამ ჩუბინიძე მუდმივად იღრმავებს ცოდნას და ეცნობა სიახლეებს, ამასთან გავლილი აქვს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატმა 2022 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ჩუბინიძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **მარიამ ჩუბინიძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი, ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- ბავშვის უფლებათა კოდექსი, - Prolog, 2021 წელი;
- სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2021წელი;
- ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰაგის 1980 წლის კონვენცია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2021 წელი;
- მედიაცია - USAID-PROLOG, 2021 წელი;
- სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების სტანდარტების მიხედვით - UNDP, 2021 წელი;

- კანონი პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის შესახებ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2022 წელი;
- ვალდებულებითი სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2022 წელი;
- დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2023 წელი და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ჩუბინიძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **მარიამ ჩუბინიძე <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 89 (ოთხმოცდა ცხრა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი